

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში
ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება გამოწვეულია შეიღად აყვანასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

ამ კანონის მიზანია სხვადასხვა კანონებში შეიღად აყვანასთან დაკავშირებული საკითხების განსხვავებული მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის თანახმად, შეიღად აყვანის შესახებ სასამართლოში შესატან განცხადებაზე დასართავი დოკუმენტების ჩამონათვალიდან ამოღებულია გასაშვილებელი ბავშვის მშობლების თანხმობა და მეურვის (მზრუნველის) თანხმობა იმ ბავშვის შეიღად აყვანაზე, რომელიც მეურვეობაშია, თუ მას მშობლები არა ჰყავს. კანონპროექტის თანახმად, შეიღად აყვანის შესახებ სასამართლოში შესატან განცხადებას უნდა დაერთოს მეუღლის თანხმობა, როცა ბავშვი შეიღად აყავს ერთ-ერთ მეუღლეს.

კანონპროექტი ასევე ადგენს 5 დღიან ვადას, ნაცვლად მოქმედი რედაქციით განსაზღვრული ერთთვიანი ვადისა, სასამართლოს მიერ შეიღად აყვანის შესახებ თავისი გადაწყვეტილების მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან რეგისტრაციისათვის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოსათვის გადასაგზავნად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არა რის დაკავშირებული დამატებით საბიუჯეტო ხარჯებთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გაელენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს იმ პირთა ფინანსური მდგომარეობის შეცვლას, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეხება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი შეთანხმებულია ყველა დაინტერესებულ უწყებასთან.

დ.ბ) კანონპროექტის ავტორია: საქართველოს შრომის, ჯანმრელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დ.გ) კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.